პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 49 (6610)

12 1980 წ. მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

● ძიუდო



მეხუთე „ოქრო“

რამაზ ხარშილაძე — სსრ კავშირის ჩემპიონი

გუშინწინ ზაპოროჟიეში დაიწყო სსრ კავშირის VIII ჩემპიონატი ძიუდოში. სპორტის სასახლე „იუნოსტის“ სარბიელზე ასპარეზობენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ათლეტები, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები.

შეჯიბრების პირველ დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულები ქვემძიმე და მძიმე წონითს კატეგორიებში. **შესანიშნავად იასპარეზა** ქართველმა ფალავანმა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა **რამაზ ხარშილაძემ.** მან ფინალში მოუგო თანამემამულე თ. ხუბულურს და მეხუთედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს medali. თ. ხუბულურს „ვერცხლი“ ერგო.

მძიმე წონაში I ადგილი დაიკავა მოსკოველმა ვ. კუზნეცოვმა.

პირველად — ლაზიერის პაიკით

კისლოვოდსკი, 10 მარტი (ჩვენი სპეც. კორ.). ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩში დღეს მეხუთე პარტია გათამაშდა.

ალექსანდრიამ, პირველად ამ მატჩში, თამაში ლაზიერის პაიკით დაიწყო. ახმილოვსკაიამ ახლახან აღორძინებული ტარაშის დაცვა გაითამაშა. მეტოქეებმა სწრაფად დაამთავრეს ფიგურების განვითარება.

მე-15 სვლაზე ახმილოვსკაიამ პაიკი შესწირა, რაც შეცდომა გამოდგა. ალექსანდრიამ აიყვანა პაიკი და გონებამახვილური გაცვლებით შეინარჩუნა იგი. პოზიციაც უკეთესი მიიღო.

ახმილოვსკაიამ ენდშპილში განაგრძო თამაში, სადაც აქტიური თამაშით სურდა აენაზღაურებინა მატერიალური დანაკლისი, მაგრამ თბილისელი დიდოსტატი ჩინებულად თამაშობდა. მან გაამაგრა თავისი პოზიცია თამაშში მეფის შეყვანით.

პარტიის გადადების წინ ალექსანდრიამ მეორე პაიკი მოიგო.

აი, ეს პარტია:

ნ. ალექსანდრია — ე. ახმილოვსკაია

1. d4 d5 2. c4 e6 3. ∅c3 c5 4. cd ed 5. ♗f3 ∅c6 6. g3 ♗f6 7. ♗g2 ♗e7 8. 0—0 0—0 9. ♗g5 dc 10. ♕:d4 h6 11. ♗e3 ♖e8 12. ♘a4 ♗d7 13. ♖ad1 ♕a5 14. ♘c2 ♖c8 15. ♘b1 ♕c4 16. ♕:d5 ♕:d5 17. ♗:d5 ♘b6 18. ♗:c4 ♖:c4 19. ♗f3 ♘b5 20. ♖:d7 ♘:d7 21. ♕e5 ♘e6 22. ♕:c4 ♘:c4 23. ♗:a7 ♖a8 24. b3 ♘a6 25. ♗d4 ♗f8 26. e3 ♘:a2 27. ♘:a2 ♖:a2 28. ♖c1 ♖a5 29. ♖c8 ♖b5 30. ♕f1 f6 31. ♕e2 ♕f7 32. ♖c3 f5 33. h4 h5 34. ♕d3 ♗e7 35. ♕c4 ♖b4+ 36. ♕d3 ♖b5 37. ♕c2 g6 38. ♖c8 ♖a5 39. ♖c7 ♕e6 40. ♖:b7 ♖a2+. პარტია გადაიდო.

დ. ჯანოევი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

გუშინ უნდა შემდგარიყო მე-5 პარტიის დამთავრება, მაგრამ ახმილოვსკაიამ აიღო „წუთ-შესვენება“. გადადებული პარტიის დამთავრება გაიმართება 14 მარტს.

მატჩის ანგარიშია 2:2. ერთი პარტია გადადებულია.

● ფარიკაობა

ოთხიდან ორ იარაღში

საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ფარიკაობაში მ. სახვაძემ გუშინ რედაქციას ტელეფონით აცნობა, რომ სამარყანდში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო პირადი პიველობა. ტურნირში შესანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებმაც ოთხი იარაღიდან ორში უძლიერესის სახელი მოიპოვეს.

რაპირაში (გამარჯვებისთვის 80-მდე მოფარიკავე იბრძოდა) საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ვ. აფციაურმა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ს. აჯიმამუდოვი და მ. გაბუნია ავარჯიშებენ, ყველა მეტოქის დამარცხება შეძლო, რამაც მას ჩემპიონის სახელი მოუპოვა. მისი თანაგუნდელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ვ. გოქაძე ვერცხლის medalს დაეპატრონა.

დაშნით მოსასპარეზეთა შორის ყველას აჯობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა გ. ჯილაურმა (მწვრთნელი მ. კიკალიშვილი) და I ადგილი დაიკავა.

ტურნირის მიზანი იყო ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შერჩევა მსოფლიო პირველობისთვის. ეს ასპარეზობა აპრილში, იტალიაში მოეწყობა.

რეკორდები

ლენინგრადის ასკ-ს საცურაო აუზში შედგა სსრ კავშირგდრ-ის მოცურავეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. მასპინძლებმა მესამედ დაამარცხეს გდრ-ს წარმომადგენლები. ამჯერად მატჩის ანგარიშია — 185:159.

კარლ-მარქს-შტადტელმა მოსწავლემ პ. შნაიდერმა 400 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.39,96.

4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მოცურავე ვაჟებმა ს. კოპლაკოვმა, ა. კრილოვმა, ა. ფილონოვმა და ი. სტუკოლკინმა (სსრკ) ევროპის რეკორდი დაამყარეს — 7.25,71.

100 მეტრზე ვაჟთა შორის გულალმა გაცურვამ საბჭოთა სპორტსმენებს ორი საკავშირო რეკორდი მოუტანა. ვ. კუზნეცოვმა ვაჟების რეკორდი დაამყარა — 57,36, ხოლო ვ. შემეტოვმა, რომელიც მეორე იყო, ჭაბუკებისა — 58,17.

● ციგურები

ჰაიდენი დაიღალა

ინცელში გამართულ მოციგურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე — „ოქროს ციგურები“ ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. ჰაიდენმა (აშშ) მრავალჭიდში მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა. პირველი იყო ჰოლანდიელი ე. კრამერი — 166,327 ქულა.

ქალთა შორის იმარჯვა ნ. სვიდერმა (აშშ) — 179,461. ოლიმპიური ჩემპიონი ა. ბორკინკი (ჰოლანდია) II ადგილს დასჯერდა — 180,313.

● სპიდვეი

ჩემპიონები

ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში დამთავრდა სპიდვეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი უინულზე რბოლაში. სსრ კავშირის ნაკრებმა (მოსკოველი ს. ტარაბანკო, ტოლიატელი ა. ბონდარენკო, ვიდნოელი ვ. ლიუბიჩი) 20 რბოლაში 59 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიგო. „ვერცხლი“ ერგოთ ჩეხოსლოვაკიელებს —50 ქულა, „ბრინჯაო“ — შვედებს 37. ტარაბანკოსთვის ეს მსოფლიო ჩემპიონის მეექვსე ოქროა (ორი — გუნდურში, ოთხი — პირად პირველობაში გამარჯვებისთვის), ბონდარენკოსთვის — მეოთხე.

● თხილამურები

ორი სტარტი

შვეიცის ქალაქ ფალუნასა და ფინეთის ქალაქ ლაჰტში გაიმართა ზამთრის ოლიმპიური სეზონის უკანასკნელი დიდი ტრადიციული სტარტები მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეთა მონაწილეობით.

ფალუნაში ქალთა შორის 20 კილომეტრზე რბოლის ფინიშზე პირველი იყო ვ. ჰესი (გდრ) — 1:01.58. საბჭოთა გუნდის ვეტერანი გ. კულაკოვა მეორე ადგილზეა — 1:02.26, III იყო ოლიმპიური ჩემპიონი რ. სმეტანინა— 1:02.41.

ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა შვედმა თ. ერიკსონმა — 1:29.55. მეორე შედეგი ჰქონდა ა. ივანოვს (სსრკ) — 1:30.47.

„მეგობრობის თასზე“

რუმინეთის ტრასებზე გამართულ ახალგაზრდა მოთხილამურეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთისა და რუმინეთის გუნდები მონაწილეობდნენ. გოგონებს შორის 5 კილომეტრზე რბოლა მოიგო ი. სტეპანოვამ — 18.16,3. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლ. ვასილჩენკო 18.17,8 და თ. ბელოვა (ყველა — სსრ კავშირი) — 18.29,2.

● სამთო-სათხილამურო სპორტი

მორიგ ეტაპზე

ნოვი სმოკოვეცში (ჩეხოსლოვაკია) გაიმართა სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ქალთა შორის. 1436-მეტრიან ტრასაზე ორი დაშვების ჯამში იმარჯვა იტალიელმა დ. ძინიმ — 1.27,29. II ადგილზე გავიდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰ. ვენცელი (ლიჰტენშტეინი) — 1.27,42, III — ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ე. ჰესი (შვეიცარია) — 1.27,6. მოსკოველი სტუდენტი ნ. ანდრეევა, რომელიც



პირველი დაშვების შემდეგ მეორე ადგილზე იყო, საბოლოოდ IV ადგილზე აღმოჩნდა — 1.28,43.

თასის გათამაშებაში სლალომისტთა შორის ლიდერობს ფრანგი პ. პელენი. მას 120 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან ვენცელი (97) და მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი, ავსტრიელი ა. მოზერ-პროლი (83). ანდრეევა 43 ქულით IX ადგილზეა.

მხოლოდ 0,4 წამი

სენსაციური უწოდეს ჟურნალისტებმა საბჭოთა სამთომოთხილამურის ა. ჟიროვის გამოსვლას კორტინა დ' ამპეცოს სლალომის ტრასებზე, სადაც მსოფლიოს თასი თამაშდებოდა. 22 წლის სტუდენტმა (იგი მოსკოვის ოლქიდანაა) ორი ცდის ჯამში მხოლოდ 0,4 წამი დაუთმო გამარჯვებულს — „სლალომის მეფედ“ წოდებულ, 2 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელს, შვედ ი. სტენმარკს. ჟიროვის დროა 1 წუთი და 31,32 წამი.

მსოფლიოს თასის გათამაშების საერთო ჩათვლაში ლიდერობს სტენმარკი — 200 ქულა, ჟიროვი XII ადგილზეა — 60 ქულა.

● მძლეოსნობა

ევროპის მიღწევა

ბარსელონაში გამართულ ესპანეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ჰ. მარინმა 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ევროპის კონტინენტის მიღწევა დაამყარა — 3:43.35. ეს 1.18-ით სჯობს მისი თანამემამულის ჰ. ალოპარტის ადრინდელ მიღწევას. ალოპარტი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა — 3:45.55.

ოლიმპიური პანორამა

მოსკოვის XXII ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 130 დღე!

სოკ-ის ნევრის აზრით

ბერლინი. „სოკ-ის 82-ე სესია ლეიკ-პლესიდში უდავოდ მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც სასწორზე იდო ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ მსოფლიოს სპორტული მოძრაობის ბედი“ — განაცხადა სოკ-ის წევრმა დოქტორმა ჰ. შებელმა (გდრ). გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში შებელმა თქვა, რომ სოკ-ის მაღალ პასუხისმგებლობაზე, ტრადიციებისა და ოლიმპიური თამაშების წესდებისადმი ერთგულებაზე მეტყველებს ერთხმად მიღებული განცხადება, რომელშიც გარკვევითაა ხაზგასმული, რომ 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიმართება მოსკოვში.

მან აღნიშნა, რომ სოკ-მა პოზიტიურად შეაფასა საბჭოთა საორგანიზაციო კომიტეტის ცნობა. სოკ-ის ყველა წევრზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ამბავმა, თუ როგორ ზუსტად მიმდინარეობს ზაფხულის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. უეჭველია, რომ ოლიმპიური თამაშები ყველა წესის შესაბამისად ჩატარდება მოსკოვში, — განაცხადა შებელმა (საკდესი).

მიზანი: მოსკოვის ოლიმპიადაში გამოსვლა

8 წლის მარჩელო სამთო-სათხილამურო სპორტმა გაიტაცა და ოცნებობდა სლალომის ოსტატი გამხდარიყო. მაშინ იგი ტრენტში ცხოვრობდა და მისი კერპი ტონი ზაილერი იყო. მაგრამ ცხოვრება სხვანაირად აეწყო. მარჩელო გუარდუჩი მაღალი კლასის სპორტსმენი გახდა, მაგრამ მან დაიმორჩილა არა მთის ფერდობები, არამედ აუზის ცისფერი ბილიკები.

ცურვა ჯერ კიდევ 1968 წელს ისწავლა, მაგრამ სპორტის ამ სახეობაში სერიოზული ვარჯიში ოთხი წლის შემდეგ დაიწყო. და ისიც მას შემდეგ, რაც იგი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩარიცხეს და არცთუ ცუდი შედეგით (55,6) გაცურა 100 მეტრი თავისუფალი სტილით. მარჩელო მიუნხენის ოლიმპიადაზე წაიყვანეს, მაგრამ იქ, რა თქმა უნდა, ასეთი შედეგით წარმატება არა ჰქონია.

ფიზიკურად ძლიერი გუარდუჩი სწრაფად ვითარდებოდა. 1973 წელს იგი გამოვიდა ბელგრადის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო მომდევნო სეზონში — ევროპის ჩემპიონატში.

— მაშინ წინასწარ გაცურვებს ვერ გავიდი, — იგონებს იტალიელი მოცურავე. — შემდგომ წლებშიც მეშინოდა, რომ ვერ მივაღწევდი მაღალ შედეგებს. პირადი რეკორდიდან „გამოძალული“ ყოველი წამი დიდი შრომის შედეგი იყო. მაგრამ მე მაინც საოცრად ბევრს ვვარჯიშობდი...

და აი, კალის მეორე მსოფლიო ჩემპიონატზე გუარდუჩი ფინალში გავიდა, ხოლო 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ეს იყო ნიჭიერი სპორტსმენის პირველი დიდი წარმატება.

მას მონრეალის ოლიმპიადის მედლის იმედიც ჰქონდა, მით უმეტეს, რომ. წინასწარ გაცურვაში 51,35 აჩვენა. მაგრამ ფინალში მარჩელო მხოლოდ მეოთხე იყო — 51,70. მან მოუგო ბურესა და ნოკეს, მაგრამ ჩამორჩა ჯ. ბოტომს (აშშ), კ. შტეინბახს (გფრ) და ჯ. ბაბაშოფს (აშშ).

— და მაინც ჩემი კერპი ბურეა, — თქვა იტალიელმა. — მისგან მე ვსწავლობ მიზანსწრაფულობას, გამძლეობას, გადამწყვეტი სტარტების წინ ძალების მოკრებას. ბურე შესაძლოა არ იყოს თავის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ იგი მუდამ მებრძოლია. ასე იყო მიუნხენში, როცა იგი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ასე იყო კალიში, სადაც ბურემ „ვერცხლი“ მოიხვეჭა. იგი დიდი სპორტსმენია. მე ვცდილობ მას ვგავდე ყველაფერში. მოდის წინაადმდეგიც წავიდი და მოკლე თმებს ვატარებ. საწყენია, რომ მეტჯერ ვერ შევხვდებით ცისფერ ბილიკზე.

უკანასკნელად გუარდუჩიმ და ბურემ ერთად იასპარეზეს იონ-ჩეპინგის ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ეს იყო ორი წლის წინ და იტალიელს ეკუთვნოდა კონტინენტის რეკორდი — 51,25. ეს რეკორდი დღესაც მისია, მაგრამ მაშინ მას აჯობა ნოკემაც და ბურემაც.

იგი არც დასავლეთ ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატს გაუხარეია, სადაც კვლავ ამერიკელებმა მიაღწიეს დიდ წარმატებას, ხოლო მარჩელო, როგორც რამდენიმე წლის წინათ, მეოთხე ადგილზე დარჩა.

— ჩემთვის საჭიროა უფრო ხშირად შევეჯიბრო აშშ-ის სპრინტერებს, — ამბობს გუარდუჩი. — ჯერჯერობით ევროპელი სპრინტერებიდან მხოლოდ ბურეს შეუძლია მათთან თანაბარი მეტოქეობა, ამიტომ წინაოლიმპიურ ზამთარს გავატარებ ოკეანისგაღმა, სადაც ვიავარჯიშებ და ვიასპარეზებ აშშ-ის საუკეთესო სპორტსმენებთან ერთად.

— როგორია თქვენი გეგმები? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა მარჩელოს.

— მოსკოვი. ოლიმპიადა. ფინალი, — უპასუხა მან და დაუმატა: — მედლის იმედიც მაქვს. რა თქმა უნდა, კვლავინდებურად ძლიერები არიან ამერიკელები, აგრეთვე პუერტორიკოელი კანალესი და საბჭოთა მოცურავე კოპლიაკოვი, მაგრამ ვიმედოვნებ საუკეთესო სამეულში მოხვედრას. თუმცა, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ოლიმპიური ჯილდოსთვის „ბებერი“ ვარ, თითქოს 24 წლის მოცურავე უკვე ვერ გაიმარჯვებს. დარწმუნებული ვარ ეს ასე არ არის. ბურეს შეეძლო ეცადა მისთვის მეოთხე ოლიმპიადაში ასპარეზობა. ფრანგი რუსო, რომელიც ჩემზე ოთხი წლით უფროსია, დაუბრუნდა ცისფერ ბილიკს. მსოფლიოს ჩემპიონი და ექს-რეკორდსმენი მონტგომერი ერთი წლითაა ჩემზე უფროსი...

(საკდესი).

ემზადებიან გულშემატკივრები

რომი, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის ბილეთები იტალიაში მთლიანად გაიყიდება! ქვეყნის უდიდესი ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელთა განცხადების საფუძველზე, ასეთ დასკვნამდე მივიდა ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო „იტალია“.

„იტალიელ „ტიფოზები“ გავსებენ ივლისში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ სტადიონებს“, — წერს სააგენტო და აღნიშნავს, რომ აპენინებში უკვე გაიყიდა იტალიისთვის გამოყოფილი ბილეთების 80 პროცენტი. იტალიელ გულშემატკივრებში უფრო დიდ ინტერესს იწვევს გახსნის ცერემონიალი და ოლიმპიადის პირველი კვირა, აგრეთვე, იტალიის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდის გამოსვლები. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ იტალიელ ფეხბურთელებს წლების განმავლობაში არ უასპარეზიათ მატჩებში ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისთვის (ახლა იტალიელი ფეხბურთელები ლიდერობენ შესარჩევ ტურნირში). ბევრი განაცხადია, აგრეთვე, მძლეოსნობასა და ცურვაში შეჯიბრებებზე (საკდესი).



ცსკა-ს ახალ საცხენოსნოსპორტულ კომპლექსში პირველად გაიმართა ქვეყნის უძლიერეს მხედართა საკავშირო შეჯიბრება. მოსკოვის ხიმკი-ხოვრინოს რაიონში განლაგებული შესანიშნავი სპორტული ნაგებობა ოლიმპიადის დღეებში „ცხენოსანთა“ ბრწყინვალე სავარჯიშო ბაზა იქნება.

საკდესის ფოტო.

ამერიკელი სპორტსმენები გმოობენ

ნიუ-იორკი. „ამერიკის ოლიმპიელ სპორტსმენებში პრეზიდენტ კარტერის პოპულარობა დაეცა მას შემდეგ, რაც მისმა ადმინისტრაციამ ოფიციალური განცხადება გააკეთა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის თაობაზე“, — მიუთითებს გაზეთი „ბოსტონ გლობი“.

— მრავალრიცხოვან ინტერვიუებში, — წერს გაზეთი, — ახალგაზრდა ამერიკელი სპორტსმენები აღშფოთებას გამოთქვამენ კარტერის გადაწყვეტილების გამო.

„პრეზიდენტმა მიიღო უაზრო გადაწყვეტილება“, — განაცხადა დ. კერტისმა, რომელიც „ბოსტონ გლობის“ აზრით ოლიმპიურ აფროსანთა რეგატის მედლის „რეალური პრეტენდენტია“. „არა მთავრობა, არამედ ამერიკელი ხალხი გზავნის სპორტსმენებს ოლიმპიადაზე, — ხაზგასმით აღნიშნა მძლეოსანმა ბ. როჯერსმა. — კარტერს უფლება არა აქვს უკარნახოს ამერიკელ სპორტსმენებს „წავიდნენ თუ არა მოსკოვში“.

„მართალი რომ ვთქვა, დიდი წარმოდგენა არა მაქვს კარტერზე. რაც მან გააკეთა, ეს ტრაგედიაა ამერიკელი სპორტსმენებისთვის. — „ბოსტონ გლობის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სიმაღლეზე მხტომელმა ჯონ თომასმა, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 1976 წლის ოლიმპიადაზე, ხოლო ვერცხლისა — 1964 წელს. — კარტერმა ამერიკული „ბოიკოტის“ მხარდაჭერა სთხოვა სამხრეთ აფრიკას. მაგრამ პრეზიდენტმა ისიც კი არ იცის, რომ სამხრეთ აფრიკას 1964 წლიდან უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში, ოლიმპიადების ჩათვლით“.

(საკდესი).

ინტერნაციონალური მენიუ

ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო უბანია კვების საქმე. მთელი მსოფლიოს სხვადასხვა წესებისა და გემოვნების მქონე ათასობით ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადვილი როდია.

ამ ძნელი ამოცანის წარმატებით გადაჭრის მიზნით შეისწავლეს წინა ოლიმპიური თამაშების გამოცდილება, გათვალისწინებულია სპეციალისტთა მოთხოვნები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დელეგაციათა წინადადებები.

სპორტული დელეგაციების წევრთა კვებისთვის განკუთვნილია სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრში მდებარე 4000-ადგილიანი რესტორანი. 4 დარბაზიდან თითოეულს აქვს თავისი სამზარეულო. თვითმომსახურების მოხერხებული დახლები ისეა განლაგებული, რომ სპორტსმენებს არ მოუწევთ რიგში დგომა. რესტორანი იმუშავებს 9 საათიდან 23 საათამდე, ერთი დარბაზი კი (1000 ადგილით) — დღე-ღამის განმავლობაში.

ყველას აინტერესებს მენიუს „პრობლემა“. ეს საკითხი არაერთხელ განიხილეს საორგანიზაციო კომიტეტში. შემუშავდა ეგრეთწოდებული „ინტერნაციონალური მენიუ“ კერძების თავისუფალი არჩევით. ეროვნული კერძების მომზადებაში საბჭოთა კულინარებს დაეხმარებიან უცხოეთის დელეგაციებთან ერთად ჩამოსული მზარეულები. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ტრადიციული კერძების მომზადება და რუსული სამზარეულოს ფართო ასორტიმენტი.

კვების სამსახურის თანამშრომლების წინაშე საზაფხულო პერიოდი კიდევ ერთ „პრობლემას“ — გამაგრილებელი სასმელებით სპორტსმენთა უწყვეტ მომარაგებას აყენებს. სამამულო პროდუქციასა და მთელი რიგი უცხოური ფირმის (მაგალითად „კოკა-კოლა“) სასმელებს კვების ყველა პუნქტი და სოფლის ყველაზე ხალხმრავალი ადგილები — აკრედიტაციის დარბაზი, სპორტკომპლექსი, კულტურული ცენტრის ფოიე... ოჩაკოვის ქარხნიდან მიიღებს. თუ სპორტსმენი შეიხედავს თავისი ბინის სართულზე მდგარ მაცივარში, იქაც აღმოაჩენს ამ სასმელებს.

ეროვნულ დელეგაციებს შეუძლიათ ჩამოიტანონ თავიანთი პროდუქტები, მაგრამ ამისთვის მათ წინასწარ უნდა შეატყობინონ დირექციას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დაიგეგმოს მათი შესანახი ადგილები.

ოლიმპიელის რაციონზე წარმოდგენას მოგვცემს, მაგალითად, მეხუთე დღის მენიუ: საუზმეზე იქნება კრევეტი მაიონეზის სოუსით, ბოსტნეული, ცივად შებოლილი ღორის კისერი, სუპი; მეორე კერძები (მოხარშული სეერიუგა არაჟანით, ნატურალური ბიფშტექსი იორდანული, შემწვარი წიწილა, ბრინჯის პუდინგი). ამ დღის სადილი 11 დასახელების კერძისგან შედგება, ვახშამი — რვისგან. ამას გარდა მადის მიხედვით სპორტსმენი მიიღებს დამატებით კერძს...

●

კიევში აშენდა სპორტული სტილით გაფორმებული სახლი კაფე „ოლიმპიადა-80“, ოლიმპიური თამაშების დღეებში მისი სტუმრები იქნებიან საბჭოთა და უცხოელი ტურისტები.

სურათზე: ახალი კაფეს სადანეტო დარბაზი.

საკდესის ფოტო.

● აკადემიური ნიჩბოსნობა

ფოთის ღია კარი

საქართველოს ზღვისპირა ქალაქი ფოთი მუდამ გულღიად მასპინძლობს ნიჩბოსნობის მოყვარულებს. აქ ყოველთვის ყველაზე ადრე იღებს სტარტს ნიჩბოსანთა სპორტული სეზონი, აქ მუდამ თავს იყრიან სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდები, აქედან იწყება დიდი შეჯიბრებებისთვის მზადება.

წელსაც ასეა. მაგრამ ჩვენ ამ წერილში საუბარი გვექნება აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს სპორტსმენთა პირველ სტარტზე — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებისთვის რესპუბლიკური თასის გათამაშების შედეგებზე. მით უმეტეს, რომ მოასპარეზეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მომავალ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში უნდა სცადონ ძალა და ისეთებიც, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა VII საკავშირო სპარტაკიადაში იასპარეზეს.

აკადემიური ნიჩბოსნობა პირველად მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში გამოჩნდა. მაშინ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა IX ადგილი დაიკავა, რისთვისაც გუნდის გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. პატარებს არც დიდები ჩამორჩნენ — შარშან მოსკოვის სასპარტაკიადო სტარტებში საქართველოს სპორტსმენებმა ადრინდელთან შედარებით 3 საფეხურით მაღლა აიწიეს. მაშასადამე, წინსვლა აშკარა იყო. ახლა ამ ტემპის გაძლიერებაზე ზრუნვაა საჭირო.

ხალხთა სპარტაკიადიდან თითქმის 5 თვე გავიდა. როგორ მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოებებში, უწყებებში ახალი სეზონისათვის მზადება? აი, ამ კითხვაზე უნდა ეპასუხა ამ დღეებში ფოთში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირს. მის პროგრამაში კლასიკური დისტანციების გარდა მარათონულ მანძილებზე შეჯიბრებაც შეიტანეს. ამ უკანასკნელში მოწმდებოდა მონაწილეთა საერთო ფიზიკური მომზადება, უფრო მლისოდ თანამედროვე ნიჩბოსნობაში მწვერვალების დაპყრობაზე ფიქრიც ზედმეტია.

რა გვაჩვენა რესპუბლიკის თასის გათამაშებამ? ზოგიერთი საზოგადოების აშკარად დაწინაურება, სხვების — აშკარად ჩამორჩენა. თუმცა არც ლიდერებს აქვთ ყველაფერი წესრიგში. მაგალითად, ვაჟთა შორის (სტუმრად ჩამოსული შავი ზღვის ფლოტის გუნდი უკონკურსოდ გამოდიოდა) ასკ-მ კლასიკურ მანძილებზე (2000 მეტრზე ასპარეზობა) 8 გაცურვიდან 5-ში აშკარად აჯობა პრიზის სხვა მაძიებლებს, მარათონში (8000 მ) ოთხჯერ პირველი იყო, მაგრამ ქალთა კოლექტივი არ ჰყავდა, ამიტომაც საბოლოოდ 100 ქულითა და IV ადგილით დაკმაყოფილდა (ზოგიერთ სხვა საზოგადოებასაც არ აღმოჩნდა მთლიანად დაკომპლექტებული ნაკრები, ამიტომაც რამდენიმე გაცურვაში III ადგილი არ გათამაშებულა).

ქალთა შორის „განთიადს“ არ ჰყავდა ბადალი — კლასიკურ მანძილზე (1000 მ) ექვსიდან მხოლოდ ერთხელ დათმო გამარჯვება, მარათონში (4000 მ) — ყველა გაცურვა მოიგო! ამ საზოგადოების ვაჟთა ეკიპაჟებმაც ერთგვარი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადს“ 201,5 ქულა დაუგროვდა, რამაც ნაკრებს პირველობა მოაპოვებინა. II ადგილზეა „ვოდნიკი“ — 148 ქულა, III — „სპარტაკი“ — 147,5.

სტუდენტთა საზოგადოების გუნდი — „ბურევესტნიკი“ 84 ქულით ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

ძალთა უთანაბრობა ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური შედეგებიდანაც ჩანს.

ქალები. 1000 მ. ერთადგილიანი. ვ. ქელტკოვა („განთიადი“) — 4.10,3, ნ. სიმკო („ვოდნიკი“) — 4.30,0, მ. ოსიპოვა („ბურევესტნიკი“) — 4.35,2; **ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელი.** „ბურევესტნიკი“ (მ. კოპაძე, კ. კვიციანი) — 4.02,0, „განთიადი“ — 4.26,0; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** „განთიადი“ (მ. ონიანი, ნ. ლავრელაშვილი) — 4.05,2, „სპარტაკი“ — 4.21,7, „ბურევესტნიკი“ — 4.41,5; **ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით.** „განთიადი“ (ი. ეფიმოვა, ლ. ცარციძე, ა. ზინჩენკო, ვ. კიაფერიანენი, მესაჭე — ე. კვენტაძე) — 3.34,0, „ბურევესტნიკი“ —4.05,0, „სპარტაკი“ — 4.27,0; **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** „განთიადი“ (ლ. ზვერევა, ნ. ჩაპლიგინა, გ. ივანენკო, ლ. ქოიავა, მესაჭე — ი. სოროკინა) — 3.45;0, „ვოდნიკი“ — 3.55,6; **რვაადგილიანი.** „განთიადი“ (ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ნიკიფოროვა, ტ. კონოვალოვა, ი. კოტულევსკაია, ი. მარჩენკო, გ. ლაგოიდა, ნ. ფილატოვა, დ. ბულოიანი, მესაჭე—ი. სადოვნიჩაია) — 4.13,2.

ვაჟები. 2000 მ. ერთადგილიანი. ლ. დრაჩი (წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტი) — 7.39,8. ვ. ოფურცოვი (ასკ) — 7.42,8, ს. პოლიჩუკი (შავი ზღვის ფლოტი) — 7.43,3; **ორადგილიანი უმესაჭო.** ასკ (გ. ვატანოვი, [illegible] რამიშვილი) — 7.22,7, „სპარტაკი“ — 7.34,7, შავი ზღვის ფლოტი — 7.39,7; **ორადგილიანი მესაჭით.** ასკ (ვ. ვასილიევი, ა. აკაევი, მესაჭე — ა. ასლანოვი) — 7.44,0. **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ასკ (ე. სოგრატოვი, ს. კაჩანოვი) — 7.39,1, „ვოდნიკი I“ — 7.44,6, „ვოდნიკი II“ — 7.53,0; **ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით.** შავი ზღვის ფლოტი — 6.55,6, „სპარტაკი“ — 7.07,8, „ვოდნიკი“ — 7.14,2; **ოთხადგილიანი უმესაჭოდ.** ასკ (ი. სოხინი, გ. ერმოლენკო, ა. კალიადინი, ვ. ლისენკო) — 6.54,6; „სპარტაკი“ — 7.09,6, „ვოდნიკი“ — 8.02,8; **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** „ვოდნიკი“ (თ. შონია, გ. თოფაძე, გ. ბუტიევი, ნ. თუთბერიძე) — 7.03,9, „სპარტაკი“ — 7.15,4, „განთიადი“ — 7.24,3; **რვაადგილიანი.** „ვოდნიკი“ (ს. გოლუბენკო, ვ. ბონდარენკო, თ. ალასანია, ს. ბირკაია, გ. ეჯიბია, კ. კარელინი, გ. ვოდნოვი, ბ. ლემონჯავა, მესაჭე — ა. ახალაძე)— 7.10,0, „განთიადი“ — 7.20,0.

წინ შავი ზღვის რეგატაა, რომელიც აქვე 14-16 მარტს გაიმართება. ეს შეჯიბრება საკავშირო მასშტაბისაა და, ცხადია, უფრო ძლიერ შემადგენლობას მოუყრის თავს.

● ძალოსნობა

ფაქტები სახეზეა

ბოლო წლებში საქართველოს ძალოსნების უფერული გამოსვლები ცნობილია. საერთაშორისო შეჯიბრებებზე დ. შანიძის ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ არც ერთ ქართველ ათლეტს არ მიუღია მონაწილეობა დიდ ტურნირში. საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალში „მოპოვებული“ XV ადგილი ჩვენთვის აშკარად შეუფერებელია...

რამ განაპირობა რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტის ჩავარდნა? სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ამას წინათ ქუთაისში გამართული საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის მორიგი პლენუმი.

მოხსენება რესპუბლიკური ფედერაციის მუშაობის შესახებ გააკეთა ფედერაციის თავმჯდომარემ **შ. ბუაძემ.** იგი მოკლედ შეეხო რესპუბლიკაში ძალოსნობის მდგომარეობას, ილაპარაკა სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდის წვრთნის პროცესზე. ითქვა, რომ ნაკრებს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, მაგრამ წარუმატებლობაზე იმოქმედა რეზერვების სიმცირემ, გუნდი ხანდაზმული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. გუნდის ხელმძღვანელობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ახალგაზრდობის მონდომება და პოტენციალ. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენები კარგად გამოვიდნენ, სასპარტაკიადო გუნდში კი ჩემპიონებიც არ მიიწვიეს. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მათს შემდგომ დაოსტატებაზე, მოდუნდა მუშაობა რაიონებში, ზოგან საერთოდ დაიხურა ჯგუფები (მაგალითად, თელავში, ახალციხეში). შეთანხმებულად არ მუშაობდნენ სამეცნიერო-საკოორდინაციო ჯგუფი და ნაკრების მწვრთნელები, რის გამოც ბევრი საინტერესო წინადადება და რეკომენდაციები გამოუყენებელი რჩებოდა.

კამათში გამოსულებმა ყურადღება გაამახვილეს რაიონებში არსებული ჯგუფების მცირე ოდენობაზე, მწვრთნელთა კადრების უკმარობაზე, ბაზების სიმცირესა და მოუწყობლობაზე; მაგალითად, ქუთაისში წერეთლის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ ძალოსნობის დარბაზი დიდი ხანია არ შეკეთებულა, ფიცარნაგი დანგრეულია. აქ ცივი წყალიც კი არა აქვთ (?!).

არც საჩხერეშია უკეთესი მდგომარეობა, — თქვა საჩხერის გუნდის მწვრთნელმა ა. კაპანაძემ, — დარბაზი არ თბება, არა აქვთ წყალი...

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება და აირჩია ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია **ამხ. გ. ფ. ლოლაძე.**

ის ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებზეც პლენუმზე იყო ლაპარაკი, ნათლად გამოჩნდა ამავე პერიოდში ქუთაისში ჩატარებული ახალგაზრდა (1960-62 წლებში დაბადებულნი) ძალოსნების რესპუბლიკურ პირველობაზე. შეჯიბრებამ ბევრით ვერაფრით გაახარა ძალოსნობის თაყვანისმცემლები. პირველი ქვემძიმე წონის სპორტის ოსტატ ა. შედოევის ერთადერთმა რეკორდმა ატაცში (145 კგ) ოდნავ თუ დაამშვენა შეჯიბრება. დანარჩენთა შედეგები მეტად მოკრძალებული იყო. ზოგიერთ წონითს კატეგორიაში სულ 2 ან 3 სპორტსმენი მონაწილეობდა, ხოლო მეორე მძიმე წონაში — ერთი (!) ეაცი „იბრძოდა“ პირველობისთვის. აჭარის გუნდი შეჯიბრებაზე საერთოდ არ გამოცხადდა, აფხაზეთიდან 2 (!) სპორტსმენი ჩამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს:

52 კგ. ა. იბრაგიმოვმა (მარნეული, „განთიადი“) — 127,5 კგ.

56 კგ. ა. ჰასანოვმა (რუსთავი, „განთიადი“) — 170;

60 კგ. ს. კონდახჩიანმა (თბილისი, ასკ) — 212,5;

67,5 კგ. გ. ბასონოვმა (თბილისი, „დინამო“) — 245 კგ;

75 კგ. ს. მელაძემ (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 260 კგ;

82,5 კგ. გ. თინაშვილმა (თბილისი, „განთიადი“) — 300 კგ;

90 კგ. ა. მედოევმა (თბილისი, „განთიადი“) — 320 კგ;

100 კგ. ა. ოიარსმა (თევზჭერის ფლოტი) — 302,5 კგ;

I მძიმე წონაში. გ. სტულევმა (თევზჭერის ფლოტი) — 315 კგ;

II მძიმე წონაში. ზ. ნადირაშვილმა (თბილისი, „განთიადი“) — 300 კგ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის I გუნდმა, მეორე ადგილზეა სამხრეთ ოსეთის ნაკრები, მესამეზე — თბილისის II კოლექტივი.

უ. ჰირაძაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მდივანი.

● სასტენდო სროლა

თასი — თბილისელ ოსტატებს

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობა, სპორტული აქტივი მუდამ დიდ ყურადღებას იჩენდნენ ქალაქში სასტენდო სროლის განვითარებისადმი. ამ ზრუნვის გამოხატულებაა ისიც, რომ გაერთიანებამ მუხნარის ტყეში შესანიშნავი ბაზა მოაწყო თითო სასანგრო და მრგვალი სტენდის მოედნებით. მისი სამზნეების სატყორცნი მანქანების რიტმული მუშაობა საშუალებას იძლევა ერთი მოედანი 18-20 გუნდს მოემსახუროს.

ბაზების აგებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, აგრეთვე, საქალაქო სპორტკომიტეტი და ქუთაისის მონკავშირი, ზრუნვა და ფიზიკური შრომა არ დაუკლიათ სპორტის ოსტატებს კ. ქელენტს, ზ. იაშვილს, დ. როინიშვილს. აი, სწორედ ამ შესანიშნავმა ბაზამ უმასპინძლა ამას წინათ რესპუბლიკის მესტენდურთა სათასო შეჯიბრებას, რომელშიც თბილისის, ქუთაისისა და მახარაძის ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ. ბათუმის გუნდი ასპარეზობაზე არ გამოცხადდა, ვერც აფხაზეთის ოსტატები ვიხილეთ, ხოლო ცხაკაიამ, სადაც ეს სახეობა ახლა იდგამს ფეხს, ერთი წარმომადგენელი მოავლინა — ოსტატობის კანდიდატი ზ. ფაჩულია.

ადგილიდან შეჯიბრებაში გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს. მათ 600-დან 453 ქულა მოაგროვეს. მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისისა (417) და მახარაძის (404) კოლექტივები.

მრგვალ სტენდზე ადგილები ამავე თანმიმდევრობით განაწილდა — 526, 436 და 420 ქულა შესაბამისად.

კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვება და მთავარი პრიზი თბილისელ ოსტატებს დარჩათ.

რაც შეეხება პირად ტურნირს, მრგვალ სტენდზე პირველი დღის შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატი ტ. ელენტი (თბილისი) დაწინაურდა. მან 100-დან 90 ქულა მოაგროვა და ქულით ჩამოიტოვა თანაგუნდელი თ. იმნაიშვილი, ხოლო მეორე თბილისელმა თ. მატოიანმა 87 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

მეორე დღეს, როცა ამინდი გამოკეთდა, შედეგებიც გაუმჯობესდა. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა, საერთაშორისო კლასის ოსტატმა თ. იმნაიშვილმა საბოლოოდ 186 ქულით მოიგო პირველობა. ელენტი 3 ქულით ჩამორჩა. ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მეორე კანდიდატი, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი თ. მატოიანი III ადგილზე დარჩა — 180 ქულა.

ადგილიდან სროლაში იმარჯვა თბილისელმა გ. სიმონიანმა — 161 ქულა. II და III ადგილების ბედი დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ოსტატი ვ. ამირხანოვი — 159, მესამეზე — მახარაძელი ოსტატობის კანდიდატი ა. კვერელაძე — 159.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: ჩვენი ოლიმპიური კანდიდატები. მარცხნიდან — თ. მატოიანი და თ. იმნაიშვილი.

ე. ხუცურაულის **ფოტო.**

«გამარჯვება»

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სასროლეთზე ჩატარდა თბილისის სპორტული კლუბების პირველობა ტყვიის სროლაში, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს მიეძღვნა. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ „გამარჯვება“, „უშბა“, „ელმავალი“, „განთიადი“, „ივერია“ და „ისანი“.

ქალების ამ საინტერესო ტურნირში დაწინაურდა „გამარჯვების“ გუნდის წევრი ლ. ძებნიაური, მან 100 შესაძლებლიდან 98 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტ. პლეშკოვა („უშბა“) და ვ. ნათენაძე („ელმავალი“).

ვუნდურ ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: „გამარჯვება“, „უშბა“, „ელმავალი“, „განთიადი“, „ივერია“ და „ისანი“.

ე. ძებნიაური.

მანქანის ფიგურულ მართვაში

დოსაფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა პირადი პირველობა ავტომობილის ფიგურულ მართვაში. გამარჯვებისთვის 27 შოფერი იბრძოდა. ყველას აჯობა ო. ქარდავამ (სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო), რომელმაც 58 საჯარიმო ქულა მიიღო. ქულით მეტი ჰქონდა ე. ქავთარაძეს (№ 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო).

ბ. ალშიბაია.

ფოდეგათა მინიჭება

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა სათანადო მოთხოვნათა შესრულებისა და მსაჯობაში ნაყოფიერი მუშაობისთვის **„საკავშირო კატეგორიის მსაჯის“** წოდება მიანიჭა:

ტყვიის სროლაში — **შ. ა. გუჯარელიძეს** (თბილისი, „განთიადი“).

სპორტულ ტანვარჯიშში — **ტ. ნ. უზუნოვს** (თბილისი, „ლოკომოტივი“), **ი. კ. მუჩიაშვილს** (თბილისი, განათლების სამინისტრო).

● კალათბურთი

პრიზიორები ცნობილია

დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. გაგაცნობთ ბოლო სამი ტურის შედეგებს:

„დინამო“ (თბ) — „ქალგირისი“ — 93:119, ასკ — „სპარტაკი“ — 87:80, „დინამო“ (მ) — ცსკა — 93:104, ცსკა — „ქალგირისი“ — 118:75, „დინამო“ (მ) — ასკ 100:95, „დინამო“ (თბ) — „სპარტაკი“ — 68:67, „დინამო“ (თბ) — ცსკა — 79:126, „სპარტაკი“ — „დინამო“ (მ) — 96:80, „ქალგირისი“ — ასკ — 100:90.

ამრიგად, ქვეყნის ჩემპიონობა მეთვრამეტედ მოიგო ცსკა-მ — 53 ქულა, „ვერცხლი“ ერგო „ქალგირისს“ (46), აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს საპატიო ტიტული ლიტველმა კალათბურთელებმა 28 წლის შესვენების შემდეგ მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა მოსკოვის „დინამოს“ (45). შემდეგ მოდიან: 41 ქულით „სპარტაკი“ (ლენინგრადი) და 40-40 ქულით ასკ (კიევი) და თბილისის „დინამო“.

● ჭადრაკი

ხუგაშვილმა მოუგო რანიკუს

ტალინი, 11 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.) აქ პ. კერესის სახელობის ჭადრაკის სახლში გრძელდება ქალთა საკავშირო ტურნირი „ტალინი-80“.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ი. პიარნპუუ (ტალინი) — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — 6, მ. რანიკუ (ტალინი) — 5,5 (1), ნ. ალიოხინა (ვორონეჟი), ა. გრინფელდი (კალინინგრადი) და ლ. ბელავენეცი (მოსკოვი) — 5-5.

ქუთაისელ თ. მესხს 4 ქულა აქვს. თბილისელ ხუგაშვილს — 4 (2).

მესხმა ბოლო ოთხ ტურში წააგო ლევიტინასა და თ. ბელოვასთან (ფსკოვი), მოუგო ლ. შევჩენკოს (ტალინი) და დაუზავდა ალიოხინას. ხუგაშვილმა გადადებულ პარტიებში სძლია საერთაშორისო ოსტატ რანიკუსა და იუნს, მერე ყაიმზე შეუთანხმდა გრინფელდსა და ლევიტინას, გადადო პარტიები პიარნპუუსა და ბელოვასთან.

თ. ხარლამიდი.

წინასაგაზაფხულო სტარტები

ბათუმში იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა. ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე ვარჯიში აქვთ გაჩაღებული „დინამოს“, „ვოდნიკის“ თუ ბავშვთა სპორტული სკოლის სპორტსმენებს.

100-მდე მოზარდი ოსტატობას იმაღლებს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ა. მაზუროვის ხელმძღვანელობით „ვოდნიკის“ ნორჩი სპორტსმენები სპორტის ახალ სახეობას — „ვინდსერფინგს“ ითვისებენ.

სურათზე: ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე ვარჯიშობენ „ვინდსერფინგისა“ და კანოეთი ნიჩბოსნობის მიმდევრები.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

● ფეხბურთი



ფეხბურთი ● სსრ კავშირის თასზე

10 მარტს გაიმართა სსრ კავშირის თასის დასკვნითი ტურის მატჩები ზონებში.

I ზონა. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუბიშევი) 0:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:1.

მერვედფინალში გავიდნენ „ფაკელი“ (ვორონეჟი) და „სპარტაკი“ (მოსკოვი).

III ზონა. „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (კიევი) 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:2.

მერვედფინალში გავიდნენ კიევის „დინამო“ და „ნისტრუ“ (კიშინიოვი).

V ზონა. „თერგი“ (გროზნო) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ქალგირისი“ (ვილნიუსი) 1:2, „დინამო“ (მინსკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:1.

მერვედფინალში გავიდნენ ბაქოს „ნეფთჩი“ და მინსკის „დინამო“.

VI ზონა. „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0.

მერვედფინალში გავიდნენ ერევნის „არარატი“ და მოსკოვის „ტორპედო“.

VII ზონა. „გურია“ (ლანჩხუთი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:5, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:1, ცსკა — ასკ (როსტოვი) 0:0.

მერვედფინალში გავიდნენ ცსკა და როსტოვის არმიელები.

VIII ზონა. „ალგა“ (ფრუნზე) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 0:2.

მერვედფინალში გავიდნენ „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) და „დინამო“ (მოსკოვი).

დებულების შესაბამისად შედგა მერვედფინალური წყვილები (პირველად დასახელებული გუნდები თავიანთ მინდვრებზე მიიღებენ მეტოქეებს):

„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „დინამო“ (თბილისი)

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)

„შახტიორი“ (დონეცკი) — ასკ (დონის როსტოვი)

„დინამო“ (კიევი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)

„არარატი“ (ერევანი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი)

ცსკა — „სპარტაკი“ (მოსკოვი).

ინგლისი

მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ლივერპულში, სადაც „ლივერპულმა“ მიიღო მეოთხე ადგილზე მყოფი „იფსვიჩ თაუნი“ (ამ გუნდს კარგა ხანია თამაში არ წაუგია). ანგარიში უკვე მე-8 წუთზე გახსნა ფაირკლოფმა, მაგრამ, 84-ე წუთზე იფსვიჩელებმა გაიტანეს საპასუხო ბურთი (გეიტსი). 2 წუთის შემდეგ სტუმრები სარმით გაუმასპინძლდნენ დალგლიშს, 11-მეტრიანი დაარტყა მაკდერმოტმა, მაგრამ „იფსვიჩ თაუნის“ მეკარე კუპერმა მოიგერია ბურთი. ფრე — 1:1.

„ნოტინჰემ ფორესტმა“ სასტიკი მარცხი (4:0) აგემა „მანჩესტერ სიტის“. 3 ბურთი გაიტანა ფრენსისმა.

სხვა მატჩები: „არსენალი“ — „ბოლტონ უონდერერსი“ 2:0, „კოვენტრი სიტი“ — „საუთჰემპტონი“ 3:0, „კრისტალ პალასი“ — „ევერტონი“ 1:1, „დერბი ქაუნთი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 4:0, „ნორვიჩ სიტი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 0:4, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ასტონ ვილა“ 1:2.

„ლივერპულმა“ ითამაშა, აგრეთვე, გამოტოვებული მატჩი სტუმრად „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან“ და დამარცხდა — 0:1.

ამრიგად, წამყვანი გუნდების მდგომარეობა ახლა ასეთია: „ლივერპულს“ 27 თამაშიდან 39 ქულა აქვს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ — ამდენივე თამაშიდან 36, „არსენალსა“ და „იფსვიჩ თაუნს“ — 34-34 ქულა, პირველს 28 თამაშიდან, მეორეს — 29-დან.

გფრ

XXII ტურის დიდი მოულოდნელობა იყო „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ მარცხი საკუთარ მინდორზე „დუისბურგთან“ — 1:2. დამარცხდა „კიოლნიც“, რომელიც ბრაუნშვაიგში ხვდებოდა „აინტრაჰტს“ — 1:2. ამასობაში იმარჯვა მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელმაც შინ სძლია „ბოხუმს“ — 3:0 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ჩემპიონატები, პირები, ლიდერები.

სხვა მატჩები: „შტუტგარტი“ — ბრემენის „ვერდერი“ 5:1, „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „კაიზერსლაუტერნი“ 2:1, „ბორუსია“ (მონხენგლადბახი) — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 4:1, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „მიუნხენ 1860“ 0:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბაიერი“ (უერდინგენი) 3:1, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“ 2:1.

ახლა ლიდერობს „ბაიერნი“, რომელსაც 22 თამაშიდან 30 ქულა აქვს. 21 თამაშიდან 28 ქულა მოაგროვა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“. ამდენივე ქულა, ოღონდ 22 თამაშიდან, აქვთ „კიოლნსა“ და „შალკე 04“-ს, 26 ქულა 22 თამაშიდან — „შტუტგარტს“.

ავსტრია

ბოლო ადგილზე მყოფ „ვიენას“ შემადგენლობაში თამაში XIX ტურიდან დაიწყო განთქმულმა სნაიპერმა კრანკლმა, რომელიც „ბარსელონიდან“ გადმოვიდა. პირველივე მატჩში მას გამოსვლა მოუხდა თავის ყოფილ კლუბ „რაპიდის“ წინააღმდეგ. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ვიენამ“ და ეს ერთადერთი ბურთი სწორედ კრანკლმა გაიტანა.

ლიდერი — „აუსტრია“ (ვენა) თავისივე ქალაქის „ვინერ შპორტკლუბ-პორტს“ ეთამაშა და იოლად გაიმარჯვა — 4:0. ვენაშივე თამაშობდა მეორე ადგილზე მყოფი „გრაცერ აკ“-ი, რომელმაც მოუგო „ადმირა-ვაკერს“ — 2:1.

XIX ტურის შემდეგ „აუსტრიამ“ (ვენა) და „გრაცერ აკ“-მა 25-25 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ვენელებს მარაგში ერთი გამოტოვებული მატჩი აქვთ.

იტალია

იტალიის ჩემპიონატში გამარჯვებულის საკითხი, ეტყობა, გადაწყვეტილია, ვინაიდან „ინტერმა“ შორს ჩამოიტოვა მეტოქეები.

XXI ტურში „ინტერმა“ ანგარიშით 3:1 სძლია „კატანიაროს“. სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: „ასკოლი“ — „მილანი“ 0:0, „აველინო“ — „პესკარა“ 2:0, „კალიარი“ — „ლაციო“ (რომი) 1:1, „ფიორენტინა“ — „ბოლონია“ 0:0, „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ტორინო“ 0:0, „პერუჯა“ — „ნაპოლი“ 1:0, „რომა“ — „უდინეზე“ 1:0.

XXI ტურის შემდეგ „ინტერს“ 31 ქულა აქვს, „მილანს“ — 25, „იუვენტუსს“ — 24.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!



19 მარტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს ბოლოსწინა, მეშვიდე ტირაჟი.

ლატარიაში 3-დან 10 ათას მანეთამდე ფულადი მოგების გარდა შეიძლება XXII ოლიმპიურ თამაშებზე ტურისტული საგზურის მოგება.

შეგახსენებთ, რომ ვინც 6 ნომერს გამოიცნობს, ან ბილეთის ნომრის მიხედვით ოლიმპიადა-80-ის ტურისტულ საგზურს მოიგებს, ძირითადი მოგების გარდა მიიღებს ტალონს ნაღდ ანგარიშზე ავტომანქანა „ეიგულის“ ურიგოდ შესაძენად.

წინა ტირაჟების შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის 23 მცხოვრებმა მოიგო ტურისტული საგზური, ხოლო 20-ზე მეტმა კაცმა — დიდი თანხა.

გაცნობებთ, რომ რესპუბლიკაში (გარდა თბილისისა) „სპორტლოტოს“ უყთებში საერთაშორისო ოლიმპიური ბარათების „Б“ და „В“ ნაწილების ჩაშვების ბოლო ვადაა 1980 წლის 13 მარტი.

თბილისში ეს ვადა გაგრძელებულია 16 მარტის 18 საათამდე.

ტირაჟი გადმოცემული იქნება ბერლინიდან ოლიმპიადა-80-ისადმი მიძღვნილ სპეციალურ სპორტულ-გასართობ პროგრამაში.

გიწვევთ საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის ბოლოსწინა ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

გახსოვდეთ: სწორად შეავსეთ ბარათის სამივე ნაწილი.

გისურვებთ წარმატებებს!

საქსპორტლოტო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ბაკურიანში

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობს

ვეტერან მოთხილამურეთა ღია ჩემპიონატს (15-16 მარტი),

გოგონათა და ჭაბუკთა პირად პირველობას სამთო-სათხილამურო სპორტში (22-23 მარტი),

საოჯახო პირველობას სამთო-სათხილამურო სპორტში (28-30 მარტი).

ტურნირებში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდნენ ბაკურიანში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატში სტარტის წინა დღეს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის ვისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 07708